



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 275

ქალაქი ქუთაისი 7 ივნისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისათვის“

სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრის“ დირექტორის 14.04.2016 წლის №04/24 მომართვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს“ შორის 2016 წლის 1 აპრილს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისათვის“ /ს/კ 212907522/, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ნ.დუმბაძის ქუჩის №59-61-ში (ნაკვეთი N2) შენობის II გამოყოფილი ნაწილის პირველ სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართის ნაწილის /ფართობი: 19.16 კვ.მ. საკადასტრო კოდი N03.04.03.474/, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრმა“ სარგებლობაში გადაცემულ ქონებაში განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირის „ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს“ შორის 2016 წლის 1 აპრილს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 3. ქონებით სარგებლობის ვადა განისაზღვროს, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადით.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, შოთა მურდულიამ უზრუნველყოს უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოადგილე

ბექა ყანჩელი